საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაქირი



ვაქირი, სოფელი სიღნაღის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. მთისწინეთში. სათავო სოფელი. ზ. დ. 320 მ, სიღნაღიდან 9 კმ, წნორისწყლიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 კმ. 2,9 ათ. მცხ. (2002). სოფელშია ი. მოსაშვილისა და ა. გზირიშვილის სახლ-მუზეუმები. ვ. მოხსენიებულია 1710 ერთ საბუთში, ხოლო 1772 ამ სოფელში ერეკლე მეფის უშუალო დახმარებით მუშაობდა ა. გიულდენშტედტი. სოფელში დგას VI–VII სს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი, ნათლისმცემლის სამეკლესიიანი ბაზილიკა. ნაგებია რიყის ქვისა და აგურის შერეული წყობით მთავარი ეკლესიის გვერდებზე. მოწყობილია შუა ეკლესიასთან დაკავშირებული მცირე სათავსები (სადიაკვნე და სამკვეთლო). ეკლესიის მხატვრული დამახასიათებელია ის, მთავარი ეკლესიის კედელი წინწამოწეულია. შენობა ორჯერ არის შეკეთებული, აქედან ერთხელ 1555 კახეთის მეფე ლევან II-მ აღადგინა და შეაკეთა. მთავარი – შუა ეკლესიის იატაკი თითქმის 1 *მ*-მდეა შემაღლებული, მოწყობილია დამატებითი საბჯენები თაღებისათვის, შეცვლილია გვერდითი ეკლესიების თავდაპირველი სახე. ვ-ში კიდევ არის კვირაცხოვლის 2 ეკლესია.

ლიტ.: ბ ე გ ი ა შ ვ ი ლ ი ლ., სიღნაღი. გზამკვლევი, თბ., 1982; Ч у б и н а ш в и л и Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

რ. გვერდწითელი

ბ. ნანობაშვილი